თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6974689

ნომერი: AR11025125

თარიღი : 26.03.2024

გაცემის თარიღი : 10.04.2024

გაცნობის თარიღი : 11.04.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2024 წლის 26 მარტის №AR11025125 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2024 წლის 13 მარტის №6931139 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2024 წლის 03 აპრილის №6963863 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული, კერძოდ, კვალვ დგინდება, რომ შეთანხმებულ მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკში შესასრულებელი სამუშაოების განსახორციელებლად მონიშნულია 8 თვე და 15 დღე. ხოლო, ამავე გრაფიკში ასევე, მითითებულია შემდეგი ჩანაწერი: „მშენებლობის გრაფიკი დარჩენილ სამუშაოებზე 7 თვეზე“. შესაბამისად, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს სამსახურის 2024 წლის 13 მარტის №6931139 ბრძანებაში მშენებლობის ვადის გასწორებასთან დაკავშირებით, საჭიროა, კალენდარულ გრაფიკში მითითებული ვადები მოვიდეს ურთიერთშესაბამისობაში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2024 წლის 13 მარტის №6931139 ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკის იდენტური მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი, ურთიერთშესაბამისი ვადების მითითებით.
ვინაიდან, სამსახურის 2024 წლის 03 აპრილის №6963863 ბრძანებას გაეცანით 2024 წლის 03 აპრილს და განახლებული დოკუმენტაცია წარმოადგინეთ 2024 წლის 09 აპრილს, სამსახურის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 27 (ოცდაშვიდი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 27 (ოცდაშვიდი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2024 წლის 26 მარტის №AR11025125 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.